

ბ. ჯიძია

სწოლა დიდი მოუზრავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში *

XVII საუკუნის პირველი ნახევრის დიდი სახელმწიფო მოღვაწის გ. სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ჯერჯერობით რიგიანად შესწავლილი არ არის. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას გ. სააკაძის პოლიტიკური მოღვაწეობის იმ პერიოდის შესახებ, როდესაც მას საქართველოს ფარგლებს გარეშე უხდებოდა ცხოვრება, სპარსეთსა და ოსმალეთში. ამ ქვეყნებშიაც გ. სააკაძე ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ისეთი დიდი დიპლომატიის სახელმწიფო კაცი იყო, რომ ის მისი თანამედროვე საზოგადოების შეუწებელი ყურადღებისა და ისტორიკოსთა საინტერესო მსჯელობის საგნად იქცა. ქართველი ისტორიკოსების გარდა, გ. სააკაძის პიროვნებას, როგორც ცნობილია, არა ერთი აღმოსავლელი და დასავლელი ისტორიკოსი და მემკვიდრე ეხებოდა. კერძოდ, XVII საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურაში ჩვენ გავიჭირდება დავასახელოთ ისეთი ძეგლი, რომელშიაც გ. სააკაძეს, როგორც ეპოქის თვალსაჩინო კაცს, სათანადო ადგილი არ ჰქონდეს მიჩნეული. გ. სააკაძის შესახებ ამ უცხო წყაროებში დაცული მასალების გაუთვალისწინებლად, რა თქმა უნდა, გ. სააკაძის დიდი ქართული პატრიოტიზმისა და მისი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირობის შესახებ ჩვენში გამომუშავებული, შესაძლებელია სავსებით სამართლიანი, შეხედულება არ შეიძლება სრული და ყველას მიერ ექვემდებარებად გასაზიარებელი იყოს. გ. სააკაძის პიროვნების შესწავლის ამ ეტაპზე საჭიროა ქართულ მასალებთან ერთად, აგრეთვე უცხოური მასალების შეკრება და სისტემაში მოყვანა, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს სპეციალისტებს ყველა ამ მონაცემის საფუძველზე საკითხი მონოგრაფიულად, ამომწურავად დაამუშაონ, რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს გ. სააკაძის შესახებ არსებული დასკვნები.

საკითხის ამ მიმართულებით წარმართვას რომ ოდნავად მაინც შეეუწყოთ ხელი, ჩვენ ქვემოთ ვაქვეყნებთ ცნობილი თურქი ისტორიკოსის ნაყინის „ისტორიაში“ მოცემულ

* ამ ცნობის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით რედაქციას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებით აღნიშნოს ფართო მკითხველი საზოგადოების საყურადღებოდ (სპეციალისტებს ასეთი რამ თვით უკეთ მოეხსენებათ): ისტორიული მეცნიერება მოვალეა ყოველგვარი ისტორიული ცნობა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გამოავლინოს და შეუფერავდეს გამოაქვეყნოს. თითოეული ცნობა მეცნიერული ცოდნის მასალაა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყოველგვარი ცნობა თანაბარი ნდობის ღირსია, თანაბრად მართალია. ჩვენი ისტორიული მეცნიერება ყველა ამ ცნობათა მარტისიტულ - კრიტიკული შესწავლით დაადგენს ხოლმე ერთადერთ კეშმარტს, რომელიც, შესაძლებელია, არც ერთ ამ წყაროთაგანს მთლიანად არ ემთხვეოდეს. ცნობები გ. სააკაძის შესახებ მრავალნაირი მოპოვება უცხოურსა თუ ქართულ მწერლობაში, ზეპირსიტყვაობაში. ეს ცნობები ხშირად ერთი-მეორის საწინააღმდეგო ხასიათისაა, ზოგი უფრო, ზოგი ნაკლებად სანდოა. მაგრამ ამ დიდი ისტორიული პიროვნების შესახებ მეცნიერული ცოდნის დასადგენად ყველა ისინი, როგორც მასალა, საჭიროა.

ცნობებს გ. სააკაძის კონიის პროვინციის მმართველად დანიშვნისა და მისი სიკვდილთ დასჯის შესახებ. გ. სააკაძის შესახებ ნაყნმას სხვა ცნობები ჩვენ აქ არ მოგვყავს, რადგანაც ისინი გადმოღებულია ი. ფეჩენის თხზულებიდან, ხოლო ამ უკანასკნელიდან ამოკრეფილი საქართველოს, კერძოდ გ. სააკაძის შესახები მასალები ქართულად უკვე ნათარგმნია და დაბეჭდილი¹.

მუსტაფა ნაყნმას (1655—1716) „ისტორია“ (تاریخ نسای) შეიცავს „ამბებს“ 1591 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1659 წლამდე. სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნისას ნაყნმამ თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა და დაკვირვებულმა მწერალმა, რისთვისაც იგი დანიშნულ იქნა ოფიციალურ ეამთაღმწერლად. თავის ისტორიას მან საფუძვლად დაუდო მისი წინამორბედი ისტორიკოსების: ჰუსეინ გეჯიჰის, ქაჯთიზ ჩელე-ბისა და სხვათა თხზულებანი. ნაყნმას „ისტორია“ ოსმალეთის ისტორიის მკვლევართათვის ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ არის მიჩნეული, მას ახასიათებს სადა, დახვეწილი სტილი, ცოცხალი სახეები და დიდი ოსტატობა მსჯელობის დროს, რაც მის ისედაც საყურადღებო თხზულებას დიდ ღირსებას ჰმატებს და მტკიცე ადგილს უთმობს მას თურქულ ისტორიოგრაფიულ ძეგლთა შორის. ნაყნმას „ისტორიის“ ხელნაწერი ნუსხები საკმაოდ ბევრია, ხოლო ავტოგრაფი სტამბოლში, ე. წ. თოფ-კაფის სასახლის წიგნთსაცავში ინახება. ნაყნმას ისტორია ოთხჯერ გამოიცა სტამბოლში; პირველად 2 ტომად, შემდეგ ექვს-ექვს ტომად².

ქვემოთ მოყვანილ ორი ცნობისაგან პირველი („მოურავ-ბეგის თავგადასავალი კონიის მოსახლეობასთან“) გადმოთარგმნილია დაბეჭდილი „ისტორიის“ მესამე ტომიდან (გვ. 4—6), ხოლო მეორე — („ხუსრევ-ფაშას მიერ მუხანათურად მოკვლა მოურავისა“) ჩვენ ვთარგმნეთ სტამბოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ნაყნმას „ისტორიის“ ხელნაწერი ნუსხიდან (ხელნაწერი № 2323/59), ამავე მესამე ტომში დაბეჭდილ სათანადო ადგილთან (გვ. 6—7) შედარების შემდეგ.

ჩვენ ვფიქრობთ, დიდი მოურავის მოღვაწეობის შესწავლაზე მომუშავე სპეციალისტებს ამ ცნობების კრიტიკული გამოყენება ერთგვარ დახმარებას გაუწევს, განსაკუთრებით მოურავის მოკვლის მიზეზების გარკვევაში, რაც ჩვენს საწყაროთმცოდნეო ლიტერატურაში სულ არაა ცნობილი, ან უმართებულოდაა გაშუქებული. ცნობებში სხვა ბევრი რამ არის საგულისხმო. აღსანიშნავია, რომ თურქი ისტორიკოსები ერთხმად დიდ ბოროტებად სთვლიან მოურავის მოკვლას და მის მკვლელს ხუსრევ-ფაშას მოსისხარკაცს ეძახიან, რომელმაც ამ საზიზღარი აქტით ოსმალეთის დაუძინებელ მტერს შაჰ-გაბბასს შური აძიებინა მოურავზე³.

¹ იხ. „ი. ფეჩენი საქართველოს შესახებ“, ენიშკი-ს მოამბე, ტ. V—VI, გვ. 370—389.

² ნაყნმას შესახებ იხ. El. III, გვ. 906, GOW, გვ. 245, აგრეთვე პროფ. محمد فوزي كوبريلي-ის სტატია გაზ. جمهورية-ში, № 1268, 1928 წ.

ათას ოცდაცხრამეტი წლის ამბები¹

მოურაე-ბეგის² თავგადასავალი კონიის³ მოსახლეობასთან

ისტორიკოსი⁴ მოგვითხრობს, რომ უკვე იყო ლაპარაკი საქართველოს სანჯაყის⁵ ემირის⁶ მოურაე-ბეგის ყარჩილაფ-ხანთან⁷ შებრძოლებისა და მისი იმ გმირობის შესახებ, რომელიც მან რამდენიმე ათასი ყიზილბაშის გაელეტაში გამოიჩინა. არზრუმში გალაშქრების წელს მოურაემა სარდალს მორჩილება გამოუცხადა და არზრუმის დაპყრობასაც და-

¹ ნ ა ც ი მ ა ს „ამბები“ დალაგებული აქვს ქრონოლოგიურად, წლების მიხედვით. 1039 წლის ქვეშ მოაქვს პირველ თავს იწყებს ცნობით შაჰ-ჯაბბასის სიყვდილის შესახებ, ხოლო მეორე თავად წარმოდგენილი აქვს აქვე მოყვანილი ცნობა მოურაეის შესახებ. ჰიჯრის 1039 წელი ჩვენი წელთაღრიცხვის 1629 წელს ჰდება.

² დიდი მოურაეი თურქულ საისტორიო მწერლობაში სხვადასხვა ტიტულით იხსენიება: მელიქ-მოურაეი, მოურაე-ხანი, ემირი, მოურაე-ბეგი (იხ. ამის შესახებ აგრეთვე ჩვენი „იბრანჰიმ ფიჩევი საქართველოს შესახებ“—ენიშკი-ს მოამბე, ტ. V—VI, გვ. 384). შ. სურეფანს მიერ შედგენილ ოსმალეთის დიდ სახელმწიფო ზღაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში მოურაეი ფაშად იხსენიება. ჩვენ აქვე მოვყავს ამ წიგნიდან მოკლე ცნობა მოურაეის შესახებ: „მეჰმედ-ფაშა. მოურაეი (محمد ساسا مغراو)—ქართველია. ირანელებთან ომებში ყორობა გამოიჩინა. არზრუმის ლაშქრობაში სარდალთან (ოსმალთა ჯარის სარდალთან, ხ. ჯ.) მოვიდა, მორჩილება გამოუცხადა და შეუერთდა მას. სტამბოლს გაიგზავნა, სადაც ის მოიქცა და მეჰმედი დაერქვა. მიენიჭა კაფუჯი-ბაშის წოდება (კაფუჯი-ბაში — საპატიო ტიტულია, რომელიც დამსახურებულ სახელმწიფო ზღაწეთ ენიჭებოდათ, შდრ. „ყაფუჯი-ბაში ებოძა, მით ექო ჩვენი ცნებანი“, იო ს ე ბ ტ ფ ი ლ ე ლ ი, დიდ-ჩურაეიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, (თბ. 1939, გვ. 57¹¹⁸, ხ. ჯ.) და გაემგზავრა სამეფო ჯარში. იქიდან გაზდა კონიის ბეგლარ-ბეგი. გარდაიცვალა შვილთან ერთად 1038 წ. საშუალოდ ტანისა, თეთრწვეროსა-ს, შეტად გულოვანი კაცი იყო“ (გარდაცვალების დროდ 1038 წლის ჩვენება კალმის შეცდომა უნდა იყოს). (იხ. محمد نرسا—جل عثمانی یاخود تذکره مشاهیر عثمانیه, ტ. IV, გვ. 153).

³ კონიის შესახებ იხ. ქვემოთ, შენიშვნა 10.

⁴ ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნაცემს მასზე ადრინდელი წყაროებით სარგებლობს. ამ შემთხვევაში კი აქვს აღნიშნული, თუ როგორი ისტორიკოსის თაზულება გამოიყენა ამ ცნობისათვის. ყოველ შემთხვევაში ეს ცნობა ქანთიბ ჩელების არ ეკუთვნის, რადგანაც ქანთიბ ჩელები აქვე მოყვანილი მეორე ცნობის ჭაროდ არის დასაბუთებული (იხ. აქვე გვ. 210). გარდა ამისა, ამ ორ ცნობაში ადვილად შეინიშნება განეოხებები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ორთავე ცნობისათვის სხვადასხვა წყაროა გამოყენებული. თბილისში ათანადო ლიტერატურის უკონლობის გამო ჩვენ ამჟამ-დგერ დაუადგინეთ აქ მოხსენებული „ისტორიკოსის“ კნობა.

⁵ სანჯაყი (თურქ. sancak 'დროშა', sancaklık 'სადროშო')—ადმინისტრაციული ერთეული ძველ ოსმალეთში, ვილნაეთი 3—5 სანჯაყისაგან შედგებოდა. აქ, ალბათ, „საქართველოს სანჯაყად“ იგულისხმება საქართველოს ის ნაწილი—ქართლი, სადაც დიდი მოურაეი მოღვაწეობდა.

⁶ ემირი (არაბ.-თურქ. امیر)—ქვეყნის სათავეში მყოფი, ხელისუფალი, მბრძანებელი.

⁷ ყარჩილაფ-ხანი—შაჰ-ჯაბბასის მიერ საქართველოში გამოგზავნილი ყიზილბაშთა ლაშქრის სარდალი.

14. ენიშკი-ს მოამბე, ტ. XIII.

ესწრო⁸. როცა [მოურავი] სტამბოლს ჩამოვიდა⁹, ოსმანიანთა დინასტიის წინაშე მას დიდ დამსახურებად ჩაეთვალა ყიზილბაშის განადგურება, მაჰმადიანობა მიიღო, სახელად მეჰმედი დაერქვა და, სათანადო პატივის მიგების შემდეგ, მას ებოძა ყარაშანის ვილაფეთი¹⁰. მოურავი ქეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევისლონე იყო, მაგრამ მართვა-გამგეობის საქმეებში უმეცარი და, ბუნებრივია, მიდრეკილებას იჩენდა მჩაგვრელობისა და ძალმომრეობისადმი. ამ დროს ერთმა გონება-მახვილმა ლექსი გამოუთქვა, რომელშიაც პირველი პირით გადმოცემულია მოურავის [ერთ-ერთი] ინტიმური საუბარი. [სხვათა შორის მელექსემ ამ ლექსით] გამოამჟღავნა შური და შეურაცხყოფილობა მათი, ვინც გულგრილად ვერ უყურებდა მოურავისათვის ვილაფეთის ბოძებას.

ლექსი¹¹

میکشم باده میخورم به پلاو
هستم شادان سبب چون کاو
من نه کبرم نه مسلم نه جهود
میر میران قرمان ماغراو

[თარგმანი]¹¹

ესვამ ღვინოს, ვჭამ ფლავს,
ამის გამო მე ჩემის გარეგნობით ხარს დავემსგავსე¹²
მე არც ცეცხლთაყვანისმცემელი ვარ, არც მუსლიმი,
არც იუდეველი
მირ-მირანი¹³ ვარ ყარაშანისა—მოურავი

⁸ აჯანყებულ აბაზა-ფაშას წინააღმდეგ არზრუმში გალაშქრება ორჯერ მოხდა. ერთი დიდ-ვეზირ ბაღრ-ფაშას სარდლობით (ბაღრ-ფაშა მეორეჯერ დიდ-ვეზირად 1626 წ. დეკემბერში იქნა დანიშნული). ეს გალაშქრება უშედეგოდ დამთავრდა და 1627 წ. 25-XI-ს ბაღრ-ფაშა უკან დაბრუნდა. მეორე გალაშქრება არზრუმს ბუსრევ-ფაშას სარდლობის დროს მოხდა (ბუსრევ-ფაშა დიდ-ვეზირად 1628 წ. ივნისში დაინიშნა) და მეორეჯერ არზრუმს ალყა 1628 წელს 5-IX-ს შემოარტყეს, რომლის შედეგადაც აბაზა-ფაშა დანებდა. მოურავს ორსავე ამ გალაშქრობაში თვალსაჩინო მონაწილეობა მიუღია (იხ. Hammer, Geschichte des osmanischen Reiches, ტ. III, გვ. 63—66). მოურავი ოსმალეთში გადასულა არზრუმში პირველი გალაშქრების წელს, ე. ი. 1627 წლის, დაახლოებით, ზაფხულში, ბაღრ-ფაშას დიდ-ვეზირად და სარდლად ყოფნის დროს, როგორც ეს აქ მოყვანილ მეორე ცნობაშია აღნიშნული („მოვიდა სარდალ ბაღრ-ფაშასთან“, იხ. აქვე, გვ. 210).

⁹ მოურავის სტამბოლს ჩასვლა არზრუმში მეორე გალაშქრების შემდეგ, ე. ი. 1628 წლის ოქტომბერ-ნოემბერში უნდა ვივარაუდოთ.

¹⁰ ყარაშანის ვილაფეთი (თ. قرمان ولايتي) იგივეა, რაც კონიის ვილაფეთი. თურქულ საისტორიო მწერლობაში კონიის ვილაფეთი დიდხანს ყარაშანის ვილაფეთის სახელით იყო ცნობილი. საქმე იმაშია, რომ სულჯუკიანი თურქების სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენებულ ფეოდალურ სამთავროთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ყარაშანიანთა დინასტიის სამთავროს ეჭირა, რომელიც ცენტრალური ანატოლიის სამხრეთ ნაწილში, თანამედროვე თურქეთის კონიის ვილაფეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამ სამთავროს ეწოდა დინასტიის დამაარსებლის, ძლიერი ფეოდალის ყარაშანის სახელი, ხოლო სამთავროს დინასტიის გამგებლებელნი ყარაშანის ძეთა (თ. Karaman oğulları) სახელით იყვნენ ცნობილნი. სამთავროს პოლიტიკური ცენტრი უმთავრესად ქალაქი ლარანდა იყო, თუმცა ერთ დროს ყარაშანიანი კონიაშიც იხსდნენ. შემდეგში, როდესაც XV საუკუნის მეორე ნახევარში, ოსმალებმა დაიმორჩილეს ყარაშანიანი და მათი სამთავრო საბოლოოდ შეუერთეს ოსმალეთს, ლარანდას ყარაშანი ეწოდა, ხოლო ყარაშანიანთა ქვეყანას Karaman eli და კონიის ვილაფეთი ყარაშანის ვილაფეთად იხსენიებოდა.

დღევანდელ თურქეთში ყარაშანი, ე. ი. ძველი ლარანდა, კონიის ვილაფეთში შემავალი სამხარო ქალაქია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ ვილაფეთის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულის კაზას (არ. თ. kaza) ცენტრი, კონიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 57 კილომეტრის მანძილზე მდებარე.

კონია, ძველი იკონიუმი, ცენტრალური ანატოლიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქთაგანია, სტამბოლიდან დაახლოებით 450 კილომეტრის მანძილზე. სულჯუკიანთა სახელმწიფოს ყოფილი მთავარ ქალაქი კონია—დღევანდელ თურქეთში ამავე სახელწოდების ვილაფეთის ცენტრია. კონიის ვილაფეთი, რომელსაც ნაჯმ-ყარაშანის ვილაფეთად იხსენიებს და რომელიც ზონთქარმა დიდ მოურავს ებოძა სამმართველოდ, ტერიტორიულად უდიდესი პროვინცია იყო ოსმალეთის იმპერიაში. მისი საზღვრები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან იწყებოდა და ცენტრალურ ანატოლიამდე აღწევდა (امواس الاعلام, ტ. V, გვ. 3644—45, 3781. El, ტ. II, გვ. 797, 1137).

¹¹ ლექსი სპარსულ ენაზეა დაწერილი, თარგმანს რედაქცია დოც. ვლ. ფუთუჩიძემ გაუკეთა.

¹² ქამერი ამბობს, რომ მოურავს თავისი არაჩვეულებრივი ღონიერი აგებულების გამო მეტსახელად ხარს ეძახდნენ: „Maghrav war ein Greis von mittlerem Wuchse, aber ungemein starken Körperbau, so dass man ihn gewöhnlich nicht anders, als den Stier hieß“ (იხ. Geschichte... ტ. III, გვ. 81). უკეთესი მერს სხვა წყარო არა აქვს და მხოლოდ ამ ლექსზე დაყრდნობით ამბობს ამას, მაშინ მის სისწორეში შეიძლება ეჭვი შევიტანოთ; მელექსეს აქ სიტყვა „ხარი“ შეიძლება რითმისთვის დასჭირდა და არა იმიტომ რომ აესაზა ხალხში გავრცელებული რომელიმე დაბასიათება მოურავისა.

¹³ მირ-მირანი—(არაბ.-სპ. میر میران) მნიშვნელობით იგივეა, რაც ბეგლარ-ბეგი.

მან [მოურავმა] ერთი მისი ხელქვეითი ვინმე უსამართლო ხუცესი მუთესელლიმად¹⁴ დააყენა და აზნაურთა ერთი ჯგუფით კონიაში გააგზავნა. მისი ხელქვეითები, მომეტებულად, სპარსულ ყაიდაზე ფერად მანდილს იხვევდნენ თავზე. ოსმალურ ზნე-ჩვეულებათა უკონიარო ქართველთა ეს ბრბო დაესია ხალხს და იწყო ქონების დატაცება და დიდ-ქცთა შეჭირვება. ზოგჯერ ქალიშვილს თმას გადაპარსავდნენ, უწვერ-ულვაშო ვაჭივით ჰსვამდნენ ცხენზე და ასე დაატარებდნენ. მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. იყო ვინმე ქალაქ კონიის შეუპოვართა და დაუცხრომელთა სათავეში მყოფი იბრაჰიმ ჩელები, რომელსაც [მეტსახელად] აკკაშ ემირ-ოღლუს ეძახდნენ. იგი, ცნობილი თავისი ბრახიანობითა და კადნიერებით, კეთილ სემაიდთაგანი¹⁵ იყო და ნაკიბის¹⁶ მოადგილის თანამდებობა ეჭირა. და როცა [მოურავის მიერ დანიშნული] მუთესელლიმი კონიის ველზე იყო დაბნაკებული, მან (იბრაჰიმ ჩელები) შეკრიბა მუსლიმთა ბრბო, მოიკრიბა ძალ-ლონე და თავს დაესხა ქართველთა ბანაკს. ამ სემაიდმა იბრაჰიმმა მუთესელლიმს წააგლო ხელი ჟსერში, გარეთ გამოაგდო, წაიყვანა და კონიის ციხეში დაამწყვდია. სხვა ქართველებმა კი ამბავი რომ ნახეს, დაიფანტნენ. შემდეგ, როცა [ქართველებს] ეს ზიანი მიაყენეს სემაიდ იბრაჰიმის რჩევით კონიის მცხოვრებლები შეიკრიბნენ და მოურავ-ბეგის ხელქვეით ქართველთა და მუთესელლიმის მიერ ჩადენილი უსამართლობა, სიმკაცრე, ქალაქში ზომბდარი გაუპატიურებანი და ძალმომრეობანი გაასაჩივრეს. ვილნაგეთის ყანდისაგან¹⁷ მიიღეს მათი საჩივრის შემცველი თხოვნა და სემაიდებისა, ყულემნათა¹⁸ და სხვა შეჭირვებულთა წარმომადგენელთაგან შემდგარი მომჩივანთა მთელი ჯგუფი პირდაპირ დიდ-ვეზირ¹⁹ ჰუსრევ-ფაშასთან გაემგზავრა. [დიდ-ვეზირს] პეტიცია გადასცეს და კენესითა და ოხვრით შესჩივლეს. [ამრიგად] სარდალმა [დიდმა-ვეზირმა] პეტიციაში აწერილ მიმძლავრებასთან დაკავშირებული ამბები და მომჩივანთა მიერ მოთხოვნილ ქართველთაგან ჩადენილ უმსგავსოებათა და უწყობაბათა შესახებ ყველაფერი გაიგო. მართლაც, ბევრი უსამართლობა და სიაყე, რომელზედაც ხმები დადიოდა, დადისტურდა. მოურავს შეეშინდა და გაიქცა. მის დასადევნად მაგ მხარეში გაიგზავნა ანატოლიის ბეგლარ-ბეგი, რომელიც ხსენებული²⁰

¹⁴ მუთესელლიმი (არაბ. *مُتَلَي*) — ძველ ოსმალეთში ვილნაგეთის მმართველის — ვაზის მოადგილე, საერთოდ ადმინისტრაციული მოხელე, რომელსაც პოლიტიკურის გარდა ეკონომიური ფუნქციებიც ჰქონდა დაკისრებული. მუთესელლიმი ხელმძღვანელობდა, მაგალითად, გადასახადთა განაწილებასა და შეგროვებასაც (პროვინციებში).

¹⁵ სემაიდი (არაბ. *سيد* — მრავლ. *سادات*) — წინასწარმეტყველის ჩამომავალი, მოსახლეობის ყველაზე მოწინავე და საპატიო პირი.

¹⁶ ნაკიბი (არაბ. *نقيب*) — ტომის სათავეში მყოფი, წინამძღვარი, (აქ) წინასწარმეტყველის ჩამომავალთა — სემაიდების — მეთაური, საერთოდ უზუცესი დერაჟიში, რომელიც შედის შეცვლის ხოლმე ლოცვის დროს.

¹⁷ ყანდი (არაბ. *قاضي*) — სასულიერო მოსამართლე.

¹⁸ ყულემნ (არაბ. მრავლ. *علما*, მხ. *عالم*) — მაჰმადიანთა მეცნიერები, განსაკუთრებით სარწმუნოებრივ იურისპრუდენციაში განსწავლულნი.

¹⁹ დიდ-ვეზირს ოსმალურად *صدر اعظم* — ან უფრო *صدر اعظم* — ეძახიან (*vazir-i azam, sadr-i azam*, არაბული, მაგრამ სპარსულ ყაიდაზე დალაგებული სიტყვები). ქართულ წყაროებში ახამ ვეზირის (ვარიანტი ახან ვეზირი) სახით გვხვდება (იხ. ე. გ. ნ. ა. შ. ვ. ი. ბ. ე. რ. ე., ახალი ქართლის ცხოვრება, თ. ჯაფარიშვილის გამოცემა, გვ. 162; ი. ტ. ფ. ი. ე. ლ. ი., დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, გვ. 61 და სხვაგან).

²⁰ ზემოთ, 1039 წლის ქვეშ თვე მოხსენებული არ არის. შესაძლებელია ნაცნობა ეს ადგილი პირდაპირ გადაწერილი ჰქონდეს იმ თხზულებიდან, რომლითაც ის სარკებლობდა და სადაც. ალბათ, ზემოთ, თვე ნახევრები იქნებოდა. რადგანაც ქვემოთ საფარის თვე იხსენიება (არ. *صفر*, მთვარის წლის მეორე თვეა), უნდა ვიფიქროთ, აქ საფარის წინა თვე, ე. ი. მუჰარრემის თვე იგულისხმება (არაბ. *محرم*, მთვარის წლის პირველი თვე). ჰიჯრის 1039 წლის მუჰარრემის რვა, ჩვენი წელთაღრიცხვით 1629 წ. 28.VIII-ს უდრის.

თვის რვაში გაემგზავრა. ერეგლიში²¹ მოურავთანვე გასაგზავნად დაინიშნა ნიგდეს²² სანჯაყ-ბეგი²³. საფარის პირველს²⁴ ჰალაბს²⁵ მივიდნენ და გოქმეიდანში²⁶ დაბანაკდნენ.

ხუხრე-ფაშის²⁷ მიერ მუხანათურად მოკლა მოურავი

ქაათიბ ჩელები²⁸ ამბობს, რომ ზემოხსენებულმა მოურავმა წინათ ყარჩილა-ხანი დაარბია და უამრავი ყიზილბაშთა ლაშქარი გასწყვიტა. დაეყრდნო რა მის მიერ ოსმალთა სახელმწიფოსათვის გაწეულ [ამ] დიდ სამსახურს, იგი მოვიდა სარდალ ხალჩი-ფაშასთან²⁹ და თავისი სჯულიდან მოიქცა. მაგრამ საქართველოს მმართველობის საქმეებში გაჩეული [მოურავი] მაჰმადიანურ სახელმწიფო ვითარებებში კომპეტენტური არ აღმოჩნდა და [მის სამმართველოში] წეს-რიგის დამყარების საქმეში მზრუნველობა ვერ გამოიჩინა. ყარამანში³⁰ მას მიეტმასნენ ზოგნი ბოროტმოქმედნი პირნი, რომელნიც მძლავრობასა და უწესრიგობას სჩადიოდნენ, სახელი კი მისი [მოურავისა] იყო. [ამის გამო] მომჩივნები დიდ-ვეზირს ეახლნენ. მეგობრებმა [მოურავს] უთხრეს, რომ ხუსრევ-ფაშა მოსისხარი ვე-

²¹ ერეგლი (თურქ. Ereğli, ძვ. სახ. Hirakla) კონიის ვილნაეთში საკაზო (არ.-თურქ. كازا, kaza — ვილნაეთის შემდეგ მეორე ადმინისტრაციული ერთეული თანამედროვე თურქეთში) ცენტრი. ძდებარეობს კონიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 130 კილომეტრის მანძილზე. ერეგლი ყარამანიანთა საზღვარში შედიოდა, XV საუკუნე. მეორე ნახევარში ყარამანიანთა სამფლობელოსთან ერთად ისიც შეუერთეს ოსმალეთის იმპერიას (იხ. قاموس السامى — ش, ტ. II, გვ. 838, El. ტ. II, გვ. 29).

²² ნიგდე (თურქ. Niğde) — თანამედროვე თურქეთში სავილნაეთო ქალაქი, კონიის აღმოსავლეთით მდებარე ნიგდეს ვილნაეთის ცენტრი. ძველ ოსმალეთში კონიის ვილნაეთში შედიოდა, როგორც სანჯაყის ცენტრი (იხ. قاموس الاعلام, ტ. VI, გვ. 4637).

²³ სანჯაყ-ბეგი — სანჯაყის მმართველი.

²⁴ ჰიჯრის 1039 წლის საფარის პირველი ჩვენი წელთაღრიცხვის 1629 წლის 20.IX ჩხვდება.

²⁵ ჰალაბი, ალეპო (حلب) — ცნობილი ქალაქი ჩრდილოეთ სირიაში.

²⁶ გოქმეიდანი (Gökmeçdan) ალბათ რომელიმე ადგილის სახელია ჰალაბის სანახებში.

²⁷ ხუსრევ-ფაშა (خسرو پاشا), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ-ვეზირად 1628 წ. ივნისში დაინიშნა. არზრუმში აზნა-ფაშას მიერ მოწყობილი აჯანყება ჩააქრო 1628 წ. სექტემბერში, შემდეგ ირანზე გალაშქრებაში არა ერთი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ დიდი მცდელობისდა მიუხედავად ბალდადი ვერ აიღო და დამარცხებული უკან დაბრუნდა. ბალდადზე ხელმეორედ გალაშქრება დროულად ვერ მოაწყო, ჯარში უწესრიგობამ იჩინა თავი, ამავე დროს მას დაბრალდა ზონთქრის ურჩობა. ზონთქარმა ფერმანი გასცა ხუსრევს მოკვლის შესახებ, რომლის სისრულეში მოყვანა მიენდო დიარბექირის ელჩის მერთაზნ-ფაშას. ხუსრევს მოკვეთილი თავი სტამბოლს 1632 წ. მარტში ჩაიტანეს. თურქი ისტორიკოსები ერთხმად აზასიათებენ ხუსრევს, როგორც უწყალოსა და სისხლით გაუმძღარ ხელისუფალს.

²⁸ ქაათიბ ჩელები (Kâtib Çelebi) — ცნობილი თურქი ისტორიკოსი და მეცნიერი (1609—1657). მისი ნამდვილი სახელია მუსტაფა ბენ ცაბდულლას, ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ჰაჯჯი ხალჩიფას (حاجي خليفة), უფრო კი ჰაჯჯი კალფას (حاجي قالف) სახელით, ხოლო თავის სამშობლოში ქაათიბ ჩელების სახელი დაიმკვიდრა. ორივე ეს მეტსახელი (كاتب, قالف) მას დაერქვა იმ თანამდებობათა მიხედვით, რომელიც მას სახელმწიფო სამსახურში ეჭირა. მან დატოვა მრავალი საისტორიო და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომი. მათ რიცხვში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ფეხლეჰედ (فہرست) წოდებული ოსმალეთის ისტორია (1592 წლიდან დაწყებული 1654 წლამდე), რომელშიაც საკმაოდ ადგილი აქვს დამოუკიდებელი საქართველო-ოსმალეთის ისტორიული ურთიერთობის შესახებ მასალებს და ამ დარგში კვლევითი წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს. ნაყინმა, რომლის თხზულებიდანაც ჩვენ მოგვყავს დიდი მოურავის შესახებ ეს ცნობა, როგორც უფრო გვიანდელი ისტორიკოსი (ნაყინმა 1716 წელს დარდაიკვალა, ხოლო ქაათიბ ჩელები — 1657 წელს), ამ შემთხვევაში სარგებლობს ქაათიბ ჩელების თხზულებით (იხ. F. Babinger. Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leipzig. 1927, გვ. 195).

²⁹ იხ. ზემოთ შენიშვნა 8.

³⁰ როგორც აქედან ჩანს, მოურავი ყარამანში იჯდა და არა კონიაში, იხ. ზემოთ შენიშვნა 10.

ზირია, შეიძლება შენ გაგიმეტოს კიდევაცო. [მოურავი] საგონებელში ჩააგდეს და წააქე-
ხეს რომელიმე მიმართულებით გაქცეულიყო. ვინაიდან [მოურავი] ამ ქვეყნის [ოსმალეთის]
სულისკვეთებას არ იცნობდა, ასე მსჯელობდა: საქართველოში ლტოლვილი სასურველ
ადგილს რომ მიაღწევს, მას მფარველობას გაუწევენ, გამოეჭომაგებიან და [მოსალოდნელ
ხიფათს] გადაარჩენენ, ასევე ამ ქვეყანაშია²¹ შესაძლებელი იქნება თავის შველაო. რადგან
არ იცნობდა არც გზა და კვალს, არც ადგილებსა და ხეობებს, ის მალათიისაკენ²² გაე-
მართა. ზორ-ფაშა²³, რომელსაც დაევალა [მოურავის] დაქერა, გაედევნა უკან და მოეწია.
მან ჯერ ცბიერებით კაცი გაუგზავნა [მოურავს] და აცნობა მისი რჩევა, რომ გაქცევით
თავის შველა უაზრო იყო და გადაარჩენა ვერც წინააღმდეგობის გაწევით იქნებოდა შესაძ-
ლებელი. უმწეო მოურავმა გაიგო, რომ წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლო იყო და
უნებლიეთ დამორჩილდა. თვითონ მოურავს, მის შვილსა და ხელქვეითებს ბორკილები
დაადევს და საფარის [თვის] მეთოთხმეტე დღეს²⁴ [ქალაქ] ჰალაბს მოიყვანეს. ამ დროს
დიდმა-ვეზირმა თავის კარვის ფარდა გახსნა და სკამზე დაჯდა. მოურავი სპეტაკ-წვერიანი,
საშუალო ტანისა იყო. ხელ-შებორკილი და ყვითელ ხალათჩაცმული ცხენზე დაესვათ. [დიდ-
მა-ვეზირმა] გასცა ბრძანება თავი მოეკვეთათ [მოურავის] შვილისა და მასთან მყოფ ორ-
მოცი-ორმოცდაათი მისი ხელქვეითებისათვის. ჯერ მოურავის, მერე მისი შვილისა და
შემდეგ დანარჩენი მისი ხელქვეითების თავები მიწაზე გავარეს. ხუსრევ-ფაშა სისხლის-
მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდმხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა
ეწადა, მან [ხონტკრისათვის] შეუტყობინებლად, ვითომდა [მოურავი] საქართველოში
წავაო, მოჰკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ეგოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა,
რომელმაც თავისი მცდარი სჯული უარყო და მაჰმადიანობა მიიღო. [ასეთი ღონისძიებით
ხუსრევ-ფაშამ] სპარსეთის შაჰს შური აძიებინა [მოურავზე].

[ამრიგად] ისტორიაში ყველასათვის გასაგებად აღინიშნა, რომ ამიერიდან მოწინა-
აღმდეგეთა ბანაკიდან ვინმემ ოსმალთა სახელმწიფოს მიმხრობა არ იკისროს. სპარსეთის
შაჰს რომ რამდენიმე ათასი ჯუჭი²⁵ ახჩა გაეღო და ქვეყნები დაემკვიდრებინა [ოსმალთა]
სულთნები ასეთ საქმეზე არ დასთანხმდებოდნენ და მას გონივრულ საქმედ არ ჩასთვლიდ-
ნენ. ამ უმეცარმა ვეზირმა კი მხოლოდ იმისათვის, რომ სისხლი დაეღვრა, ასეთი სა-
ზიზღარი ვერაგობა ჩაიდინა. კიდევაც რომ დადასტურებულიყო, რომ [მოურავი] ხალხს
უსამართლობასა და ძალდატანებას აყენებდა და სჩაგრაჲდა, მას საზოგადოებრივი უფლე-
ბები უნდა ჩამოართმეოდა და უნდა გასამართლებულიყო; შემდეგ გაფრთხილება უნდა მის-
ცემოდა, რომ ამიერიდან ასეთნაირი ძალადობა არ ჩაედინა. უფრო შესაფერი და მიზანშე-
წონილი იყო ასეთი [ღონისძიებით] დაკმაყოფილებულიყო. ასეთი ღირსეული და სახელოვანი
კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობაა. მაგრამ, ნათქვამია, კაცის მკვლელობა
კაცის ხელითვე მოკვდებაო, თვითონაც მაგ ბედის გახდა და [მსგავსი] სასჯელი მიეზღო²⁶.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის
აღმოსავლურ ენათა კათედრა.

²¹ მალათია (Malatya) დღევანდელ თურქეთში ვილანჯეთის ცენტრი, მდებარეობს აღმოსავლეთ ანატო-
ლიაში ქ. დიარბექირის დასავლეთით.

²² ზორ-ფაშას (زور پاشا) ნაჰინი იხსენიებს, როგორც ხუსრევ-ფაშის თანამედროვეს, რომელსაც
ანატოლიის ემირ-ულ-უმერანს წოდება ჰქონდა (იხ. نعيمًا تاريخي، ტ. III, გვ. 2).

²³ ჰიჯრის 1039 წლის საფარის 14 ჩვენ წელთაღრიცხვით 1629 წლის 3.3. უდრის.

²⁴ ჯუჭი (თ. ұмк) საერთოდ 'ტვირთი, საპალნე', ძველ ოსმალურში საერთოდ 100 000 რიცხვს აღნიშ-
ნავდა, კერძოდ თანხას, 100 000 პიასტრისაგან შემდგარს.

²⁵ იხ. აქვე, შენიშვნა 27.

დამატება

ზემომოყვანილი ჩვენი წერილი უკვე გადაცემული იყო სტამბაში და იწყობოდა, როდესაც გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ 1942 წლის მაისის მე-5 ნომერი პროფ. ს. კაკაბაძის წერილით „გიორგი სააკაძის აღსასრული“ (გვ. 133—136). თავის წერილში პროფ. ს. კაკაბაძე ეხება გ. სააკაძის მოღვაწეობისა და მკვლევლობის საკითხებს ოსმალეთში და მოჰყავს ამავე ისტორიკოსის მუსტაფა ნაყინშას ისტორიიდან სათანადო ცნობების თარგმანი. სხვათა შორის ამ თარგმანებში მოცემულია აგრეთვე ნაყინშას ისტორიიდან, რომელსაც ჩვენ აქვე ვაქვეყნებთ. პროფ. ს. კაკაბაძის ზემოხსენებული წერილის გაცნობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ მიერ თარგმნილი და კომენტარებული ამ ორი ცნობის დაბეჭდვა არამცთუ განმეორებად და პარალელურად არ ჩაითვლება, არამედ აუცილებლად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან, როგორც ჭკემათ დავინახავთ, ცნობათა თარგმანები, რომელსაც პროფ. ს. კაკაბაძე ეყრდნობა თავის გამოკვლევაში, სამწუხაროდ, შეიცავს მრავალ ფაქტიურ შეცდომას და მეტად მოკლებულია მეცნიერული თარგმანებისათვის ეგოდენ აუცილებელ ზედმიწევნილობას.

აღვნიშნავთ ზოგ ამ შეცდომათაგანს.

პროფ. ს. კაკაბაძის წერილში ეკითხულობთ: „მოურავ-ბეგის დასადგენებად გაგზავნეს აგრეთვე სანჯაყ-ბეგი ნიიდეც“ (ხაზი ჩვენი. იხ. ზემოთ დასახელებული წერილი „მნათობში“, გვ. 133). ნაყინშას ისტორიის სათანადო ადგილას წერია: *نیکد آید* ... *سنجاقی بکی*... და სხვა... (იხ. *نیمای تاریخی*, ტ. III, გვ. 6). თარგმანის ამ ნაწყვეტში ქალაქ ნიგდეს სახელი კაცის სახელად და მიღებული და ნათქვამია „გაგზავნეს... სანჯაყ-ბეგი ნიიდეც“-ო. ჩვენი თარგმანის კომენტარიაში ჩვენ ვამბობთ, რომ ნიგდე ძველ ოსმალეთში კონიის ვილნაეთში შემავალი სანჯაყის ცენტრი იყო, ახლა კონიის მეზობლად მდებარე ვილნაეთის მთავარი ქალაქია. ქალაქის ძველი სახელია Nigde, ახალ თურქულში „გ“ დახურული მარცვლის ბოლოში y(ə)-ში გადადის და გამოითქმის ნიგდე (იწერება Nigde). თარგმანიდან, ალბათ ვერ გაგების შედეგად, სავსებით ამოგდებულია მეორე ქალაქის სახელი ერეგლი. სწორი თარგმანი ასე უნდა იყოს: „ერეგლიში ნიგდეს სანჯაყ-ბეგიც მოურავის [შესაპყრობად] დაინიშნა და გაიგზავნა“ (შდრ. ჩვენი თარგმანი და კომენტარი ნიგდესა და ერეგლის შესახებ, აქვე, გვ. 210).

ს. კაკაბაძის წერილში 134 გვერდზე ეკითხულობთ: „ამის შემდეგ გამოშვებულ იქმნა ხოსრო-ფაშის ბრძანება, რომ არავინ მოწინააღმდეგეთა ჯგუფიდან არ უნდა მიაღწიოს აღ-ოსმანის ხარისხებს (ე. ი. არც ერთი ქართველთაგანი არ დაწინაურდეს ოსმალეთის სამსახურში)“. კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ არაფერი ამის შესახებ ნაყინშას არა აქვს და არავითარი ასეთი ბრძანება ხუსრევ-ფაშას არ გამოუშვია (დიდი-ვეზირი ვერც გამოსცემდა ასეთი შინა რის ბრძანებას). მოვიყვანოთ თურქული ტექსტის სათანადო ადგილი: *و من بعد زمره مخالفیند کمنه آل عثمانه* (იხ. *نیمای تاریخی*, ტ. III, გვ. 7). როგორც მკითხველი ხედავს, ეს ამონაწერი სრულებით სხვა რაშეს გვეუბნება. საჭკე იმავნა, რომ ნაყინშა საერთოდ დიდ უქმაცოვრებას გამოუქვამს იმას გამო, რომ ხუსრევ-ფაშამ უსამართლოდ მოჰკლა დიდი-მოურავი, რომელმაც ასეთი დიდი სამსახური გაუწია ოსმალეთსო. აქ მოყვანილ ნაწყვეტში კი ის აზრია გატარებული, რომ მოურავის მოკვლის აქტი ერთგვარი გაფრთხილება არას იმას შესახებ, რომ ამიერიდან მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან ვინცმე ოსმალთა სახელმწიფოს მხარეზე გადმოვიდა არ გახედოსო და ამ მკვლელობის შემდეგ ჩვენ (ოსმალებს) ძართლაც არავინ მოგვეჩხრობაო (იხ. დეტალურად ჩვენი თარგმანის სათანადო ადგილი, აქვე, გვ. 211). ამრიგად, როგორც ტექსტის ამონაწე-

იოდან ჩანს, აქ ერთი სიტყვა არაა ნათქვამი არც ფაშის ბრძანებაზე, არც „ალ-ოსმანის“ (?) ხარისხებზე“ და არც ოსმალთა სამსახურში ქართველთა დაწინაურების აკრძალვაზე.

თარგმანში გ. სააკაძის პიროვნების დახასიათებისას ნათქვამია: „... საზოგადოდ მჭიოთი აპრიმანი (მოხერხებული) იყო“ (იხ. გვ. 132). ტექსტში წერია *ار... نادر اهرمن بند*. ამ წინადადების ორი სიტყვა არ „ვატყავი, გულადი“ და *بند* „შეკერა“ თარგმანში ჩულებით არ არის ასახული. გარდა ამისა *اهرمن* სპარსული სიტყვაა და „მოხერხებულს“ ჩულებით არ ნიშნავს, „ბოროტ სულს, დევების მბრძანებელს“ ნიშნავს; აქედან *بند اهرمن* „დევისლონე, დევის შემკვრელი“, როგორც ეს ჩვენს თარგმანშია მოცემული (იხ. აქვე გვერდი 208).

პროფ. ს. კაკაბაძის წერილში 132 გვერდზე ვკითხულობთ შემდეგ თარგმანს: „ამ დროს ზოგიერთმა ხუმარამ შეადგინა მის შესახებ შაირი, რომელშიაც ის ესაუბრება თავის თავს იმის გამო, რომ ზოგნი მის დანიშვნას ვილაიეტის გამგედ მეტისმეტად სთვლიდნენ და ამიტომ მასხარად იგდებდნენ მას“. ეს თარგმანიც არ არის სწორი. ამ წინადადებაში ტექსტის *ظرف* სიტყვა, რომელიც თურქულში „გონებამახვილს“ ნიშნავს, „ხუმარად“ არის ნათარგმნი. ამავე ტექსტის ბოლო სიტყვები სპარსული *شك* „შური, სი-ხრბე“ და არაბულ *طعن* „შეურაცყოფა, ლანძღვა“ თარგმნილია ასე: „მასხარად იგდებ-დნენ მას“, რაც არავითარ შემთხვევაში სწორი არ არის (შდრ. აქვე დართული თარგმა-ნის სათანადო ადგილას, გვ. 208).

126 გვერდზე შემდეგნაირი თარგმანია მოცემული: „მათ გაიარეს სარდალ-ლი-ვის (ხაზი ჩვენია, ს. ჯ.) კარავის (ოტაკის) წინაშე (ტყვე) ყიზილბაშების წინ გარეკვით, ჯოხებზე სათითაოდ მოჭრილი თავების აწევით და ბუკების და დოლების უკულმა დაკავეებით“ (ხაზი ჩვენია, ს. ჯ.). თურქული ტექსტი ასეთია: *باشلى بر اغاجه ديكيلوب* ასეთია: *كوس و كرهنايله منكوس اللوا سردار اوطاغى او كندن كجروب...* (ნემა, ტ. II, გვ. 346). მოყვანილი თარგმანი საერთოდ ძლიერ უხეიროა, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით გვაინტე-რესებს, თუ რა არის „სარდალ-ლივა“, „ლივა“ სარდლის სახელადაა გაგებული, თუ მის ტიტულად? სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არც ერთია და არც მეორე. ან არადა რას ნიშნავს „ბუკების და დოლების უკულმა დაკავება“, ხომ სულერთია დოლს უკულმა დაიკავებ თუ წალმა და ამას ხომ არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს? საქმე იმაშია, რომ აქ ვერ გაუგიათ არაბული შესიტყვება *اللوا منكوس*, რომელშიაც *اللوا*, უარტიკლოდ *لوا* „დროშას“ ნიშნავს, ხოლო მისი მსაზღვრელი სიტყვა *منكوس* — „უკუ-ლმა შებრუნებულს“. ამ გაუგებლობის ნიადაგზე ეს შესიტყვება გაყოფილია და *منكوس* წინამავალი სიტყვების—ბუკებისა და დოლების—მსაზღვრელადაა მთარგმნელის მიერ გა-მოყენებული, რაც სინტაქსურად ყოვლად დაუშვებელია, ხოლო *اللوا* მომდევნო *سردار* სიტყვასთანაა გაერთიანებული და შედეგად მიღებულია ყოვლად უაზრო თარგმანი „სარ-დალ-ლივა“ და „ბუკების და დოლების უკულმა დაკავება“. ნამდვილად კი ცხადია, რომ უკულმა მტრის დროშა ეჭირათ.

ნაყნმანს მართლაც აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ მოურავს, ყარჩილაგ-ხანის ლაშქ-რის განადგურების შემდეგ, პრეტენზიები ჰქონია მეფობაზე და ფულიც კი მოაპყრევინაო. ნაყნმანს მოყვანილი აქვს ამ ფულის ასეთი სახის ზედწერილიც: *بند شاه ولايت ماغراو شاه* (იხ. ნ. ისტორიის II ტომი, გვ. 350). ს. კაკაბაძის წერილში ეს ზედწერილი ასეა თარგმნილი: „მე, ვილაიეტის მეფე მოურავ-შაჰი (ე. ი. მოურავ-მეფე)“. უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის უცნაურობა, რომ ზემომოყვანილი ფულის ზედწერილი სპარსულ ენაზეა, ხოლო თარგმნილია ისე, თითქოს ეს თურქული იყოს. უნდა ვიკითხოთ,

რატომ უნდა ყოფილიყო მოურავის მიერ მოკრილ ფულზე თურქული ზედწერილი, ამ დროს ის არც კონფესიონალურად და არც პოლიტიკურად ოსმალეთთან ხომ არ იყო დაკავშირებული და თვითონ ხომ შიიტური გაგების მუსლიმი იყო? დავუშვათ, რომ ზედწერილი თურქულ ენაზეა, განა პირველი სპარსული სიტყვა «بند» (bende „მონა“), რომელიც, სხვათა შორის თურქულშიც იხმარება, „მე“-ს ნიშნავს? თუ ამ სიტყვის ნახევარი (ben) მთარგმნელმა თურქულ ben („მე“)-დ მიიღო, მეორე ნაწილი de რაღაა? შემდეგ, რა არის „ვილაიეტის მეფე“? ვილანეთი ხომ „გუბერნიას, პროვინციას“ ნიშნავს და რად დასკირდებოდა გ. ს ა ა კ ა ძ ე ს თავისი თავი გუბერნიის ან პროვინციის მეფედ გამოცხადებია; განა, თუ ეს საჭირო იყო, მან საქართველოს ან ქართლის სახელი არ იცოდა? საქმე იმაშია, რომ ზედწერილი სრულებით ვერ არის გაგებული.

ჩვენ ვისარგებლებთ ამ შემთხვევით და ორიოდ სიტყვით შევჩერდებით ამ ზედწერილის შინაარსის გარკვევაზე. ცნობილ ისტორიკოსს J. v. Hammer-საც ეს ზედწერილი შეცდომით აქვს გაგებული (რა თქმა უნდა, როგორც მკითხველი ქვემოთ დაინახავს, მისი შეცდომა სხვა ხასიათისაა და მას bende სიტყვა „მე“-დ არ გაუგია). Hammer-ი, ეყრდნობა რა ამავე ისტორიკოსის ცნობას, ამბობს: Maghrawchan warf sich nach dieser Schlacht zum unabhängigen Herrscher auf, und prägte Münze, mit der Umschrift: Diener des Schachs, Maghrawpascha¹. მაშასადამე, Hammer-ი ზედწერილს ასე თარგმნის: „მონა შაჰისა, მოურავ-თაშა“ (sic!), რაც აგრეთვე სწორი არ არის.

Hammer-ის ეს შეცდომა შენიშნა და სქოლიოში გაისწორა კიდეც გაკვრით მისი შრომის Geschichte des osmanischen Reiches თურქულ ენაზე მთარგმნელმა Mehmet 'Atā-მ². მაგრამ მას დაწვრილებით არა აქვს განმარტებული ამ შეცდომის მიზეზი. საქმე იმაშია, რომ ზედწერილში მოყვანილი ولايت სიტყვა „ვილანეთს (გუბერნიას, პროვინციას)“ არ ნიშნავს და vilâyet-ად³ კი არ უნდა იქნეს წაკითხული, ეს არის velâyet „წმინდნდე, წმინდანობა“ არაბული ولي (veli)-სგან, რომელიც „წმინდანს“ ნიშნავს. მაშასადამე ولايت شاه (shah-i velâyet) = „წმინდანობის შაჰი, წმინდანობის მეფე“. ეს სიტყვები ამ გაგებით, როგორც ცნობილია, სპარსეთში ტიტულად იხმარება მეოთხე ხალაფა ქალნასათვის, ხოლო სპარსეთის შაჰები, უფრო კი სეფიანთა დინასტიის შაჰები, თავიანთ თავს ოფიციალურ დოკუმენტებში უწოდებდნენ „წმინდანობის მეფის (ე. ი. ქალნს) მონას“, სპარსულად bende-i shah-i velâyet⁴. უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ მართლაც გ. ს ა ა კ ა ძ ე მ ფული მოსკოა, ზედწერილისათვის ის სპარსეთის შაჰებს მიჰბაძავდა და ზემოხსენებულ სპარსულ წარწერას გააკეთებდა ფულზე. ამრიგად ნ ა ც ე მ მ ს ცნობაში დაცული ზედწერილი დიდი მოურავის ფულზე ولايت شاه و لايت شاه ასე უნდა იქნეს გაგებული: „მონა წმინდანობის მეფისა — მოურავ-მეფე“, ან „მონა წმინდანობის შაჰისა [ე. ი. ქალნსა] — მოურავ-შაჰი“. გამოსარკვევია, რა თქმა უნდა, საიდან აქვს ნაცემს გადმოღებული ეს ცნობა და არის თუ არა მის წყაროში უფრო დეტალური ცნობები ამ საყურადღებო საკითხის შესახებ.

¹ იხ. J. v. Hammer. Geschichte des osmanischen Reiches, ტ. III, გვ. 44.

² იხ. دولت عثمانیه تاریخ و مؤلفی ہامہار، مترجمی محمد عطا، ტ. IX, სტამბოლი, 1335 (პიჯრით), გვ. 54, შენიშვნა 1.

³ ამ შემთხვევისათვის ჩვენ ლათინურ-თურქულ პრაქტიკულ ტრანსკრიფციას ვიხმარებთ.

⁴ იხ., მაგალითად, 1722 წლის დოკუმენტი სპარსულ ენაზე: «Повеление от Шиха Тагмаса II к правителю Грузии Хусейн-Кули-Хану (Вактангу VI)», კრებულში «Переписка, на иностранных языках, грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1770 г.» СПб, 1861, გვ. 145.

ჩვენ მაგალითისათვის პროფ. ს. კაკაბაძის წერილიდან მოვიყვანეთ მხოლოდ ჩამდენიმე ადგილი, — შეუწყნარებელი დამახინჯებანი. შეცდომები და დამახინჯებები თარგმანში სხვაც მრავალია, მაგალითად, ზოგი ცნობის დასაწყისი გამოტოვებულია, ზოგს ბოლო აქვს მოკვეცილი, ადგილ-ადგილ გამოტოვებულია მთელი წინადადება, რომ არაფერი ეთქვათ ხშირად კონტექსტისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ცალკეულ სიტყვებზე. ყველა ამათი აქ აღნიშვნა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ პროფ. ს. კაკაბაძის წერილში თურქულ სპეციალურ ტერმინთა და საკუთარ სახელთა შეუსაბამოდ გადმოცემა. ვინც არაბულ დამწერლობას იცნობს, შეუძლებელია ქართულად დაწეროს: ვილაიეთი (ყველგან), ტოკატი (გვ. 128), ჟრუკ-ახმედ-ფაშა (გვ. 133), სერასკირი (გვ. 127, 130), ოტაკი (გვ. 126), გეკ-მეიდანი (გვ. 133), დეფტერდარი (გვ. 135), მუფტი (გვ. 135), ჰაფის-ფაშა (გვ. 136) და სხვა. ერთი და იგივე ცნობილი საკუთარი სახელი **أحمد**, ხან „მუჰამედ“-ადაა (გვ. 132) გადმოცემული, ხან „მუჰამედ“-ად (გვ. 128), ხან კი „მამედ“-ად (გვ. 126). ერთი გვერდის მანძილზე ერთი და იგივე ტერმინი სამი ფორმითაა წარმოდგენილი: „სოხტები“ (გვ. 131 bis), მეორე იქვე „სუხტები“ (bis), შემდეგ იქვე „სოხტები (სუფტები)“ და სხვ.